



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 325

ქალაქი ქუთაისი 25 ნომბერი 2016 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის
25 თებერვლის № 116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის
თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №116 განკარგულებაში შემდეგი ცვლილება:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №707 – №716 პუნქტები თანდართული რედაქციით.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმიდან ამოღებულ იქნეს №146, №147 და №630 პუნქტები.

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის №144 პუნქტის გასწვრივ, მე-6 სვეტში, რიცხვი: „90“, შეიცვალოს რიცხვით: „25“.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრამის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და

სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
707	მიწის ნაკვეთი	ბუკიას ქუჩის მიკრორაიონი, ნაკვეთი №1	877.0	03.01.24.575	25.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
708	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევი, №20ა-ს მომიჯნავე ტერიტორია	61.0	03.05.23.210	25.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
709	მიწის ნაკვეთი	ნინოშვილის ქუჩა №61	155.0	03.04.24.324	125.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
710	მიწის ნაკვეთი	დავით და კონსტანტინეს ქუჩა №32-ის სამხრეთით	245.0	03.02.24.497	180.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
711	მიწის ნაკვეთი	დავით და კონსტანტინეს ქუჩა №32-ის სამხრეთით	55.0	03.02.24.498	180.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
712	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩა №21-ის სამხრეთით	645.0	03.05.23.482	25.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
713	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩა №21-ის სამხრეთით	288.0	03.05.23.481	25.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
714	შენობა-ნაგებობა	გაპონოვის ქუჩა №4-ის მიმდებარედ	41.0 – მიწა 19.29 – შენობა	03.03.22.054	14000	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
715	შენობა-ნაგებობა	ტ.ტაბიძის ქუჩა №23	2650.0 – მიწა (თანასაკუთრება) 1002.26 – შენობა №1	03.03.27.200.01.501	265000	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
716	შენობა-ნაგებობა	გრიშაშვილის ქუჩა და გრიშაშვილის ქუჩის მე-2 შესახვევი №4/1	შენობის ნაწილი – 210.57 მიწის ნაკვეთი – 2636.0 (თანასაკუთრება) შენობის ნაწილი – 289.43 მიწის ნაკვეთი – 2636.0 (თანასაკუთრება)	03.04.25.215.01.500 03.04.25.215.01.501	346.700	პირობით: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარჩენილი შენობის ნაწილის სანაცვლოდ (03.04.25.215.01.502), ფართობით 432 კვ.მ. ააშენოს და კეთილმოაწყოს შეთანხმებული პროექტის მიხედვით ახალი შენობა-ნაგებობა. თავისუფალ ტერიტორიაზე მოაწყოს მოსასვენებელი ძელსკამები, განათება და მცირე ზომის სკვერი	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში